

უშვილობის მკურნალობასთან დაკავშირებული

პრობლემების შესწავლა

ლელა ბულისკერია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
სკოლაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ლელა ბულისკერია

27.06.2015 წ.

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია საქართველოში უშვილობის მკურნალობის სხვადასხვა მეთოდების შესწავლა, აგრეთვე იმის გარკვევა თუ რამდენად ფინანსურად ხელმისაწვდომია მკურნალობა, რატომ ირჩევენ საზღვარგარეთიდან ჩამოსული პაციენტები საქართველოში მკურნალობას, და რამდენად კმაყოფილნი არიან მიღებული შედეგებით. როგორია უშვილობის მკურნალობის თანამედროვე მეთოდების მიმართ ხალხის განათლების დონე. პაციენტები რამდენად დროულად მიმართავენ უშვილობის სამკურნალოდ სათანადო სამედიცინო დაწესებულებებს, რამდენს შეადგენს უნაყოფობის ხანგრძლივობა. **მეთოდოლოგია:** კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია უშვილობის საკითხებზე არსებული ლიტერატურა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა თბილისის „კლინიკა ინ ვიტროს“ უშვილო წყვილების გამოკითხვა პირისპირ ინტერვიუების მეთოდით, სპეციალური სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. **შედეგები:** რესპოდენტები უშვილობის სამკურნალოდ ყველაზე მეტად იყენებენ ხელოვნურ განაყოფიერებას (46%). ჩატარებული მკურნალობიდან დადებითი შედეგი იქნა მიღებული რესპოდენტთა 78%-ში. ხოლო მეთოდებიდან ყველაზე დადებითი შედეგი იქნა მიღებული ინსემინაციის მეთოდით მკურნალობაზე (78.6%). ასაკობრივ ჭრილში, ყველაზე დადებითი შედეგი იქნა მიღებული 35 წელზე ნაკლები ასაკის რესპოდენტთა შორის (48%). უცხო ქვეყნების რესპოდენტების (გამოკითხულთა 24 %) აზრით, მათთვის ფინანსურად უფრო ხელმისაწვდომია თბილისში მკურნალობა, ასევე ხაზს უსვამენ საქართველოში ჩატარებული მკურნალობის მაღალ ხარისხს. რესპოდენტები უშვილობის სამკურნალოდ ექიმს აკითხავენ ძალიან დაგვიანებით. მკურნალობის ფასები ფინანსურად ხელმისაწვდომია რესპოდენტთა მხოლოდ 20%-თვის. 80%-თვის მკურნალობა ძვირია, მაგრამ იძულებულია ჩაიტაროს. **დისკუსია, რეკომენდაციები:** უშვილობის მკურნალობასთან დაკავშირებულ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს პაციენტების დაგვიანებით მიმართვა ექიმთან, ასევე უშედეგო მკურნალობა სხვადასხვა კლინიკებში. აღნიშნული კიდევ უფრო ამძიმებს უშვილობის პრობლემას, რადგან რაც უფრო დიდია უნაყოფობის ხანგრძლივობა მით უფრო მცირდება უნაყოფობის მკურნალობის შედეგიანობა. კვლევა აჩვენებს, რომ ამ სფეროში მოსახლეობას აქვს განათლების დაბალი დონე. მიზანშეწონილია ქალთა

რეპროდუქციული განათლების ამაღლება, უშვილობის მკურნალობის თანამედროვე მეთოდების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მასიური პროფილაქტიკური გამოკვლევები, რათა მოხდეს მსგავსი დაავადებების დროული გამოვლენა და ადეკვატური მკურნალობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უშვილობის მკურნალობა, ჯანდაცვა,